ლექსიკა

მოსწავლე _____

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

მხდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მხდალი** ნიშნავს:

ა) მორცხვს ბ) მშიშარას გ) სწრაფს

უნდა შემოხაზო პასუხი **ბ) მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მხდალი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____ .

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი **გ) ჭიხვინებს**.

გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში არ ჩაწერო, მხოლოდ შემოხაზე შერჩეული სიტყვა.

---

1. იმათ თვალებში **მზაკვრობა** იკითხებოდა. აქ სიტყვა **<u>მზაკვრობა</u>** ნიშნავს:

   ა) ვერაგობას. ბ) უკმაყოფილებას. გ) ქედმაღლობას.

2. **მეტოქეები** ერთმანეთს რიყეზე შეხვდნენ. აქ სიტყვა **<u>მეტოქე</u>** ნიშნავს:

   ა) თანატოლს. ბ) მოქიშპეს. გ) მოძალადეს.

LIVEWORKSHEETS

3. თეო გულდაწყვეტილი დაჰყურებდა თავისი დაუდევრობით **ალანძულ** კაბას. აქ სიტყვა **ალანძული** ნიშნავს:

   ა) ალაგ-ალაგ დახეულს.
   ბ) ზემოდან მომწვარს.
   გ) ძალიან გახუნებულს.

4. ერთი წინდაუხედავი ნაბიჯის გამო ოჯახი **უმწეო** მდგომარეობაში აღმოჩნდა. აქ სიტყვა **უმწეო** ნიშნავს:

   ა) გამოუვალს. ბ) უჩვეულოს. გ) უცნაურს.

5. ოჯახის უფროსი ყველაზე **ხელმომჭირნე** იყო. აქ სიტყვა **ხელმომჭირნე** ნიშნავს:

   ა) თადარიგიანს. ბ) მუყაითს. გ) ყაირათიანს.

6. ერთი სახნისი სულ ხვნაში იყო და **ლაპლაპებდა**, მეორე - დაჟანგულიყო. აქ სიტყვა **ლაპლაპებდა** ნიშნავს:

   ა) ბზინავდა. ბ) ბჟუტავდა. გ) ციმციმებდა.

LIVEWORKSHEETS

თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ნაწიბურები გულზე

კალოშები. გარედან შავი, პრიალა, შიგნით - წითელი. გარედან ცივი, გალაქული რეზინი, შიგნით - თბილი მაუდი. ძირები დაჭრელებული - ფეხი რომ არ დაგსხლტომოდა თოვლსა და ტალახში. ჩაიცვამდი ფეხსაცმლიან ფეხზე, ცოტა კი გემძიმებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფეხსაცმელი არასოდეს გეთხუპნებოდა ტალახში. მიხვიდოდი ვინმესთან სტუმრად, კალოშებს აივანზე დაიხდიდი და სუფთა ფეხსაცმელებით შებაკუნდებოდი შინ. თანაც, როცა კალოშები გეცვა, ფეხები ძალიან თბილად გქონდა, ვერაფერი დააზრობდა ფეხის თითებს.

მიყიდეს კალოშები... მე კი პატარა ვარ, პირველკლასელი. ის კალოშებიც პატარებია, მამას კალოშებთან - ბარტყებივით. მომაზომეს, ჩამაცვეს. ცოტა თავისუფლად მქონდა, - არა უშავსო, ქაღალდებს წავუგებთ წინაო. ისეთი ლამაზი კალოშები იყო, არ მოვისურვე გაზეთის დაჭმუჭნილი ქაღალდების წაგება. ცოტათი მეხდებოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით დავაბიჯებდი. გავივლიდი და გამოვივლიდი აივანზე, გავივლიდი და გამოვივლიდი. ძირსაც ვაპირებდი ჩასვლას, მაგრამ ძირს სიმშრალე იყო, მზე ჩახჩახებდა. დაგცინებენ, ძირს არ ჩახვიდეო, - გამაფრთხილეს. არ ჩავედი. დავიხადე კალოშები, იდაყვი დავუსვი ძირებზე, მერე - ზემოდანაც. ხომ პრიალები იყო, უფრო პრიალი დაიწყეს. დასაძინებლად დაწოლილმა, სკამი დავიდგი, კალოშები ბალიშთან ახლოს დავიწყვე. მომწონდა მათი სუნიც. თან ვიძინებდი, თან თვალებმოჭუტული ვუყურებდი.

დილას გამეღვიძა. შემოვარდა ჩემი ბიძაშვილი ყვირილით:

- იცი, როგორ გაუყინავს, იცი, როგორი ყინულებია?! არხის წყალსაც გაყინავდა, ბიჭო. წავიდეთ, ვნახოთო.

არხის წყლის გაყინვა ბავშვებს ძალიან გვიხაროდა. დავსხდებოდით ციგებზე, დავიჭერდით აქეთ-იქედან წვეტიან ჯოხებს, დავაწვებოდით იმ ჯოხებს და გავარდებოდა ციგა სრიალით წინ. ვსრიალებდით მთელ დღეს.

სწრაფად ჩავიცვი. ჩავიცვი კალოშებიც. ჩემი ბიძაშვილი როგორღაც მორიდებით დამყურებდა, თვალი რჩებოდა ჩემს პრიალა კალოშებზე. - რა

LIVEWORKSHEETS

კარგებია, ბიჭო! - ჩაილაპარაკა. დავატყაპუნე სიამაყით ფეხი. ჩავედით ეზოში. მართლაც, გაყინული იყო სველი ადგილები. გუბეებს თეთრი ყინული გადაჰკვროდა. ჯერ იმ გუბეების ყინულები ვამტვრიეთ, მერე ფერდობზე დავეშვით, წისქვილის არხთან ჩავედით. არა, ჩვენდა სამწუხაროდ, წისქვილის არხი ჯერ არ გაყინულიყო. რაღაც ძალიან ლურჯად და მძიმედ მიდიოდა წყალი. მხოლოდ ნაპირებს გასდევდა თხელი, თეთრი ყინული. ჯერ გულდაწყვეტილები ვიდექით. მერე ნაპირის ყინულის მტვრევა დავიწყეთ. ფრთხილად, წინ რომ არ წავყირავებულიყავით, ჩავარტყამდით ფეხს... ჭლახ! - დაიძახებდა ყინული, ჩაიმსხვრეოდა და ნაპირს მოცილებული ნატეხები ტივტივით მიჰქონდა წყალს. ამოიღო ჩემმა ბიძაშვილმა ყინულის ერთი ნატეხი, ააგდო მაღლა, ამოუქნია ფეხი, მოხვდა ფეხი ყინულს და ის ყინული ბრჭყვიალა ნამსხვრევებად გაიფანტა ჰაერში. ძალიან მოგვეწონა ეს ორივეს. მეც ამოვიღე ყინულის ნატეხი, მეც ავაგდე მაღლა, მოვუქნიე ფეხი და... წამძვრა კალოში, ამოტრიალდა ჰაერში და - ტყაპ! - წყალში ჩავარდა, ჩაიძირა მაშინვე. მივრბოდით მე და ჩემი ბიძაშვილი ნაპირ-ნაპირ, იქნებ სადმე გამოიტანოსო, მაგრამ არ გამოიტანა. მაშინ გამოვბრუნდით და გამოვიქეცით შინ. მე - ტირილით. შინ რომ გაიგეს, რაც მომიხდა - გაგიქრეს ხასიათი, ერთ დღეს მაინც გცმოდაო! - გაიქცა დედა, - იქნებ მე ვნახოო. ხელცარიელი დაბრუნდა. მე ისევ ვტიროდი. - რომ გითხარი, ქაღალდები წავუგოთ-მეთქი, რატომ არ გაიგონე, ეგ გინდოდა, არაო! - მე ეგ როგორ მინდოდა! - ავუწიე ხმას. - გაჩუმდი, გაჩუმდი, შენ არაფრის ღირსი არა ხარ და არც გაგხდით რამის ღირსს ამის შემდეგო.

და ამისრულეს. აღარასოდეს უყიდიათ კალოშები ჩემთვის. როცა მე შევიძელი რაღაცების ყიდვა, მაშინ უკვე გასული იყო კალოშების მოდა. ის ცალი, პატარა კალოში კი ხან სად მხვდებოდა, ხან სად, თანაც დიდხანს. დავინახავდი და შემეკუმშებოდა გული.

ახლა რომ ექიმები მსინჯავენ, მეუბნებიან, ნაწიბურები გაქვს გულზეო. მე არ მიკვირს. ერთი ნაწიბური ხომ ჯერ კიდევ იმ პატარა კალოშის დაკარგვამ დამაჩნია ზედ გულის წვერზე?! მე ისიც კი ვიცი, ის ნაწიბური რას ჰგავს... ის ჰგავს მოჭუტულ, გუგაჩამშრალ თვალს...

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **მოთხრობაში გადმოცემულია:**

ა) ამბავი, რომელიც მთხრობელს ბავშვობაში გადახდა თავს.
ბ) ამბავი, რომელიც სხისგან მოისმინა მთხრობელმა.
გ) ამბავი, რომელსაც შემთხვევითი შეესწრო მთხრობელი.

2. **რატომ ჰქონდა კალოშებს ძირები დაჭრელებული?**

ა) ფეხები ძალიან ჩათბუნებული რომ ყოფილიყო.
ბ) ფეხი რომ არ გაცურებულიყო თოვლსა და ტალახში.
გ) ფეხსაცმელი ტალახში რომ არ გათხუპნულიყო.

3. **„როცა კალოშები გეცვა, ფეხები ძალიან თბილად გქონდა, ვერაფერი <u>დააზრობდა ფეხის თითებს</u>." რას ნიშნავს წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა?**

ა) გაყინვას. ბ) დასველებას. გ) ტკენას.

4. **რა მხატვრული ხერხია გამოყენებული მოცემულ წინადადებაში: „ ის კალოშებიც პატარებია, მამას კალოშებთან - ბარტყებივით"?**

ა) გაპიროვნება. ბ) ეპითეტი. გ) შედარება.

5. **„დაგცინებენ, ძირს არ ჩახვიდე", - გააფრთხილეს ბავშვი. რატომ შეიძლებოდა დაეცინათ ბიჭისათვის?**

ა) კალოშები ცოტათი დიდი ჰქონდა.
ბ) კალოშებში გაზეთი ჰქონდა ჩაფენილი.
გ) მშრალ ამინდში კალოშებს არ იცვამენ.

6. **რაზე მეტყველებს ის, რომ დასაძინებლად დაწოლილმა ბიჭმა კალოშები საწოლთან ახლოს დაიწყო?**

ა) ეშინოდა, ვინმეს არ მოეპარა.
ბ) უყვარდა რეზინის სუნი.
გ) უხაროდა ახალი კალოშები.

LIVEWORKSHEETS

7. **რატომ უხაროდათ ბავშვებს არხის წყლის გაყინვა?**

ა) მოსწონდათ გაყინული წყლის ცქერა.
ბ) მოსწონდათ ყინულების მტვრევა.
გ) ყინულზე ციგებით სრიალებდნენ.

8. **„ჩემი ბიძაშვილი როგორღაც მორიდებით დამყურებდა, <u>თვალი რჩებოდა</u> ჩემს პრიალა კალოშებზე." რას ნიშნავს ხაზგასმული ფრაზეოლოგიური გამოთქმა?**

ა) გაოცებას ვერ მალავდა.
ბ) ინტერესით უყურებდა.
გ) ძალიან მოსწონდა.

9. **რამ დასწყვიტა ბიჭებს გული?**

ა) გუბეებს თეთრი ყინული გადაჰკვროდა.
ბ) ყინულის ნატეხები ტივტივით მიჰქონდა წყალს.
გ) წისქვილის არხი ჯერ არ გაყინულიყო.

10. **რა მოსწონდათ ბავშვებს?**

ა) არხში წყლის ლურჯად ლივლივი.
ბ) ყინულის ბრჭყვიალა ნამსხვრევების ფანტვა.
გ) ყინულის მტვრევის ხმა.

11. **რა იყო კალოშის ფეხიდან წაძრომის მთავარი მიზეზი?**

ა) ის, რომ კალოშები დიდი ჰქონდა.
ბ) ის, რომ კალოშები პრიალა იყო.
გ) ის, რომ ყინულს ფეხი მოუქნია.

12. **რას დააბრალა დედამ კალოშის დაკარგვა?**

ა) ბიჭის დაუკვირვებლობას.
ბ) ბიჭის მოუხერხებლობას.
გ) ბიჭის სიჯიუტეს.

LIVEWORKSHEETS

13. საიდან ჩანს, რომ ბიჭმა ძალიან განიცადა კალოშის დაკარგვა?

ა) ექიმებს უამბო კალოშის დაკარგვით გამოწვეული ტკივილის შესახებ.

ბ) ნაწიბური მოჭუტულ, გუგაჩამშრალ თვალს მიამსგავსა.

გ) ცალი კალოშის დანახვაზე გული დიდხანს ეკუმშებოდა.

14. რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ ბოლო აბზაცის მიხედვით?

ა) გულის ნაწიბური გუგაჩამშრალ თვალს ჰგავს.

ბ) ერთადერთი ავად მოსაგონარი რამ კალოშის დაკარგვა იყო.

გ) მთხრობელმა უამრავი ტკივილი განიცადა ცხოვრებაში.

15. რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) ბავშვობისდროინდელი ამბები ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ბ) უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვობაში განცდილი ტკივილი უკვალოდ არ ქრება.

გ) უფროსებმა ხშირად სამართლიანად უნდა დასაჯონ ბავშვები.

LIVEWORKSHEETS

15. ასეთი **უდაბური** ტყე ბევრია საქართველოში. რომელია **უდაბურის** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა?

ა) დაბურული. ბ) მეჩხერი. გ) უსიერი.

16. ფრაზეოლოგიზმი **თვალს მოავლებს** ნიშნავს:

ა) მიმოიხედავს. ბ) მოიწონებს. გ) წარმოიდგენს.

17. მოსწონდა თუ არ მოსწონდა, ცბიერი მელა ყველაფერზე **კვერს უკრავდა** გულუბრყვილო დათვს. ფრაზეოლოგიზმი **კვერს უკრავდა** ნიშნავს:

ა) მადლობას უხდიდა.
ბ) ტაშს უკრავდა.
გ) ყველაფერზე ეთანხმებოდა.

18. სანდროს ერთი უცნაური შემთხვევის შემდეგ **არ ენდობოდნენ.** **არ ენდობოდნენ**, ანუ:

ა) ალმაცერად უყურებდნენ.
ბ) გულს უწუხებდნენ.
გ) თვალში შესციცინებდნენ.

LIVEWORKSHEETS